№ 562. პარასკევი, 19 ივნისი. 1898—1989 პარასკევი, 19 ივნისი, **№ 562.**

სტამბა და რედაქცია:
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 სათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კ. მეოთხეზე 4 კაპ.

Типографія и Редакція
„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363.

947 ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ (ежедневно). Г. Гори.
въ Аптеку Базіерова
Г-ну РУСАДЗЕ

დაიბეჭდა და გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მაღაზიას გასასყიდათ ახალი წიგნი

თ. ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი
წერილი პირველი
მეგახლავარ-ისა

ფასი 20 კაპ.

ვინც დაიბარებს ათს ცალზე მეტს ხსენებულ მაღაზიიდგან, მას დაეთმობა 20%. (15—4)

ეს არის ეხლა მიღებულია საზღვარ-გარეთიდან და ისყიდება
მწვანე და მოლაპარაკე **თუთიყუშები**
და სხვა მრავალი საზღვარ-გარეთელი მშვენიერი **ფრინველები**
აქვე ყიდულობენ კავკასიის ტყიურ ნადირ-ფრინველებს: ირმებს, ჯეირნებს, შურთხებს, გარეულ ყოჩებს და სხვა-და-სხვა ფრინველებს.
მიხეილის ქ. № 106, ბარამოვის სახ. ეზოში **ჰუგო ვინკლერს.**

ка говорящихъ **ПОПУГАЕВЪ** и иностран.
ПТИЦЪ.
окупка Кавказскихъ дикихъ животн. и птицъ
айловская ул. № 106, д. Барамова (во дворѣ) **ГУГО ВИНКЛЕРУ.**
(12—4)

„ბავშვების მოკეთის“
შესახებ.

აუარებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჩის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.

წიგნი „ბავშვების მოკეთე“ მოწონებული და სახელმძღვანელოთ დადგენილია მთავრობის მიერ.

ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში.—სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.

ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.
(50—20) პატივისცემით ალ. ნათაძე.

შპალერების საწყობი
ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

Депо обоевъ
І. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арпруни)
№ 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 22)

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა“.

ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.
ქარხანა იღებს შარაანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტალროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)
იაფად და ხმელის მასალისას.

ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.

მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.

პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის“ ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—4)

განიხვრა და დაფასება
ტყიან მამულებისა
დაფასება სამეურნეო შემოსავლისა
მამულის გეგმის შედგენას და სხ. კისრულობს ალექსი გრიგოლის მე **სნეჟკოვი**, ლაბორატორიის ქუჩა № 26. ტელეფონი № 567.
Алексѣй Григорієвичъ Снѣжковъ, Лабораторная, № 26. (50—41)

ექიმი
ქ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Д кторъ **К. М. Чикованн**
Михайлов., № 16.

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
ვენისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.
Докторъ **К. И. Гдзелишвили.**
Михайловская, противъ кирки.
(100—22)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. გ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის **D-r ф. ბაცევიჩი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. გ. თოფურია.**
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

ახალი ამბავი

⁂ ქარხნის ხელოსანთა ამხანაგობის „შრომისა“. დიდად დაინტერესებული ამ ახალის და სასარგებლო ამხანაგობით, გუშინ, 17 ივნისს, წაველით კუკიის ხიდზედ მუხრან-ბატონის მამულში ხსენებულ ქარხნის სანახავად. შთაბეჭდილება ჩვენი აღემატა მოლოდინს. ქარხანა ამხანაგობისა მოთავსებულია დიდსა და ნათელს ოთახში. ამ ჟამად შიგ ექვსი კაცი მუშაობს. არიან ამათში დურგალიც, ხარატიც, ჩუქურთმის მჭრელიც. უფროსმა ხელოსანმა გიორგი ბერძნიშვილმა აგვიხსნა, თუ ვითარის წესით და რიგით მიიღება შეკვეთა მუშტრისაგან. „აიო, ბატონო, ალბომი გვაქვს, სადაც ყველანაირი ავეჯია დახატული და ყველას თავისი ფასი აქვს დანიშნული ამხანაგობის გამგეობისაგანაო. მუშტარი ამოარჩევს საჭირო ნივთს და ჩვენც გადაწყვეტილ ფასს ვეუბნებითო“.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო შესანიშნავმა ჩუქურთმის მჭრელმა ბაგრატ ცხვედაძემ, რომელიც საუკეთესო ევროპიელ ოსტატს ამ საქმეში არ ჩამოუვარდება. კარგი ნასწავლი ყმაწვილია და კარგი მცოდნე თავის საქმისა აგრეთვე ხარატი ციბაძე.

საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენებურს ხელოსნებში შესანიშნავი მცოდნე ოსტატები ყოფილან. „მა რა გეგონათ, ბატონოვო, განგვიმარტა უფროსმა ოსტატმა: ჩვენი ხალხი ყველაფერს გააკეთებს; მაინც ყველა საქმე ჩვენით კეთდება, ხოლო სახელი და სარგებლობა უცხოელებს აქვთ ხელში ჩავარდნილიო“.

სრული იმედია, რომ ეს ახალი საქმე ჩვენში ფეხს მოიკიდებს.

ჩვენ გვითხრეს, რომ არა-ხელოსანთაც მივიღებთ ხოლმე წევრებათაო. ამისათვის საჭიროა მსურველი მობძანდეს კვირა დღეს ქარხანაში და ჩაეწეროსო.

ერთი ახალი თვისება ამ ახალ საზოგადოებისა კიდევ ის არის, რომ ყოველ კვირას ყველა წევრები—ხელოსნები იკრიბებიან და აქვთ სჯა-ბაასი თავის საქმეზედ. შესანიშნავის ენერგიით და სიყვარულით ეკიდებიან ხელოსნები თავიანთ საზოგადო ქარხანას და... ეს უნდა იყოს თავდებიც მათის წარმატებისა.

⁂ იმპერატორის ალექსანდრე II-ის ძეგლის კურთხევა მოხდება მოსკოვში 14 აგვისტოს და ამ დღესასწაულს უნდა დაესწრნენ მოსკოვში კავკასიის სხვა და სხვა წოდების წარმომადგენელთა დეპუტაციებიც.

⁂ საფრანგეთიდან მოსული პროფესორი. ტფილისში მოვიდა ამ დღეებში საფრანგეთიდან იქაური პროფესორი ალფერდ-დე-ლაბერი.

⁂ ხაზინის ფულის გაფლანგვის საქმე. სიღნაღის ფოსტა-ტელეგრა-

ფის კანტორის უფროსი ი. ს. კაზიმირსკი და მისი თანაშემწე რომანოვი სამართალში იქმნენ მიცემულნი, რადგან მათ ბრალდებათ ხაზინის ფულის გაფლანგვა, სიყალბე და სხ. გარდა ამისა უკანასკნელს ბრალდება კიდევ საათის მოპარვა, რომელიც გაგზავნილი იყო ფოსტით კერძო პირის სახელზე.

⁂ **ქქ. ვლ. მ. მახვილაძე** მოწვეულია საზაფხულო პედაგოგიურ კურსების გამგე კომისიის მიერ, რათა წაუკითხოს თავის სურვილისამებრ რამდენიმე ლექცია ჰიგიენის შესახებ. საზაფხულო პედაგოგიის კურსების მსმენელ ქალ-ვაჟთ.

⁂ **შეწირულება ტფილისის სახალხო თეატრის სასარგებლოდ** ამ ჟამად 6 ათას მანეთამდე ავიდა. ქალაქის გამგეობას მოლაპარაკება აქვს ხმოსნებთან იმ საგნის შესახებ, რომ დაეთმოს სახალხო თეატრს ქალაქში რომელიმე ადგილი.

⁂ **მოწაფეთა რაოდენობა ტფილისის სასწავლებლებში.** ტფილისის არსებულ 99 სხვა და სხვა სასწავლებელში, პოლიციის-მიერ შეგროვილ ცნობების მიხედვით, ყოფილა შარშან 10,266 ვაჟი და 5,571 ქალი.

⁂ **ნორმალურ სასწავლებელთა კრედიტი.** როგორც ისმის, განზრახვა აქვთ ჩამოართვან კავკასიის საგუბერნიო მთავრობათ ის კრედიტი, რომელიც ეძლევა მათ საერო ხარჯთ-აღრიცხვით სასოფლო ნორმალურ სასწავლებელთა დასაარსებლად და შესანახად, და გადასცენ ყველა კრედიტი აღნიშნულ საჭიროებისათვის კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს.

⁂ **ცხენის რკინის გზის შესყიდვის საქმე.** ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა წარუდგინა ქალაქის მოურავს განცხადება, რომლითაც თხოულობს განხილულ იქმნეს, სანამ საზაფხულოდ მუშაობა შესწყდებოდეს, მისი წინადადება იმის შესახებ, რომ დაგირავდეს ქალაქის სახლი, რომელიც ერევნის მოედანზე იმყოფება, 115 ათას მანეთად, რათა ამით შესაძლებელი შეიქნეს ფულის გადახდა უსახელო საზოგადოების სასარგებლოდ „კონკის“ საბოლოოდ შესყიდვის დღეს, ამ წლის 25 ოქტომბერს.

— ხმოსანმა ა. ბ. ევანგულოვმა დაურიგა ტფილისის საბჭოს ხმოსნებს თავისი ანგარიში, რომლის ძალით იგი დაასკვნის, რომ ინჟ. ყაზბეგის პირობები უფრო ხელსაყრელია ქალაქისათვის, ვიდრე უსახელო საზოგადოების პირობები მათ მიერ ცხენის რკინის გზის წარმოების შესახებ.

⁂ **მატარებლით გასრესილი ბავშვი.** გუშინ-წინ მარტყოფის ქუჩაზე, სადაც რკინის გზის ლიანდაგი გადის, დღის ერთა ყმაწვილი 13 წლისა იოსებ ფაგე სეირნობის დროს ქვეშ მოჰყვა საბარგო მატარებელს და დაშავდა. საბრალო ბავშვი საზარელი სანახავი იყო, რადგან თეძოებს ქვევით სუყველაფერი მოწყვეტილი ჰქონდა. ქვასაც-კი ცრემლებს მოჰგვრიდა, როცა სასოწარკვეთილი დედა და საბრალო შვილი ერთმანეთს ეხვეოდნენ. ბავშვი რკინის გზის საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც მალე გარდაიცვალა კიდეც.

ფრიად საჭიროა ამ გზას სასტიკ ყურადღებას მიაქცევდნენ ისინი, ვისიც ჯერ არს და რაიმე ღონეს იღონებდნენ, თორემ ასეთი უბედური შემთხვევა პირველი არ არის.

⁂ **ლენქორანის მაზრა.** **ქოჩად მავალნი** (КОЧЕВНИКИ). გაზაფხული გადის, ზაფხული მოახლოვდა და მზემაც აქეთკენ, დროსა და გვარად, კბენა დაიწყო. ჩამოცხა მუღანის გადაჭიმულ მინდვრებში, სადაც მრავალ ადგილას მოდებულია, ადგილობრივ ქოჩად მავალი ხალხი, ცხვარი მთებიდგან ჩამოხვეწილნი ზამთარში საბინადროდ. ცხვარი უკვე სიცხეს ველარ იტანს და მათმა მესაკუთრეებმაც ზუვანდის იალაღებისაკენ იბრუნეს პირი და მთებში მომავალი გზები აახმაურეს. ანუ, როგორც ამ გადაჩრჩვას ზოგიერთნი ეძახიან, „ქოჩათ მავალმა ხალხმა (КОЧЕВНИКИ) მოისურვა მთებში „გასეირნება“. ერთი პირიც არის უნდა დაჰკვირვებოდნენ ამ „გასეირნებას“ ამავე სიტყვის მთქმელებისას, ესახათ მათი ტანჯვა-ვაებით სავსე ცხოვრება, რომ ეგ უადგილო ლამაზი სიტყვები, საკაიდღეოთვე შეენახათ... კაი გასეირნებაა, მკითხველო, შენც თუ დამეთანხმები, წლის-წლობით ჯორებზედ გადახურულ დაგლეჯილ ნაბად ქვეშ გატარებული დღეები, სადაც სიცხე-სიცივეს, წვიმა-ნიაღვარს და მრავალ სხვა უბედურობათ ნახევრად შემოსილი „ძაღლივით აღძინებულნი“ ხვდებიან. კარგი გასეირნებაა მათ დედაკაცებისათვისაც, რომელთაც, არა იშვიათად, ზურგზედ ძუძუ-მწოვარა აკრავს, ხელში ახლად მოგებული ახ ხბო, ან ზაქი უჭირავს და ამგვარად, დასერილ-დახეთქილ ფეხებით, ასიოდ ვერსებით ახდომებს მთიდან ბარში ასვლა-ჩამოსვლას. კაი გასეირნებაა, როცა ბნელ ღამეში მოხეთქილი ნიაღვარი, რაა იშვიათადვე, გაიტაცებს ხოლმე რამდენსამე მათ კარავს და ბავშვების და დედაკაცების წივილ-კივილი ზეცას უწვდის! კაი, გასეირნებაა იმ გვარი საუზმით, როგორც არის საზოგადოთ ქოჩად მავალი ხალხის ყოველდღიური საზრდო: მეღორიილ მაწვნიდგან დარჩენილი შრატი და იმ გვარად შეხახხლული „ბაზლამა“ (პური), რომელსაც შორიდგან ვერც კი გაარჩევ—პურია თუ მიწა და რომელიც ერთი უნდა ჩამოვთვალო! ღმერთო ჩემო, რამდენად გულ-ზვიადი უნდა იყოს კაცი, რომ ამათი ძაღლური მადური ცხოვრებაც კი დაიშუროს, ამათი ისრეთაც ბედის-წყრობისაგან გაქელილ ცხოვრების შეკიწროება განიზრახოს! „არიან კიო“, იკითხავთ, თქვენგან არ მიკვირს: არიან და უბრალო მომაკვდავნიც კი არა, რომელთაც იმდენი ვნების მოტანა არ შეუძლიათ, არამედ ისეთები, რომლებიც ცხოვრების სათავეში უდგან და მით ერთ უმთავრეს მოვალეობათაგანს უნდა შეადგენდეს ამგვარად დაბეჩავებულ გლეხკაცთა ცხოვრების გაუმჯობესება—ტომის და წოდების მიუხედავად, რადგანაც არსებული კანონ-დებულება ამ უკანასკნელთა შორის განსხვავებას არა სდებს. იყო აგრეთვე, სხვათა შორის, ცოტა ხნის წინად წარმოთქმული აზრი, რომელსაც ამოიკითხავდით ჩვენებურ გაზეთებში, რომ მუღანში ბევრი ადგილებია, სადაც ქოჩად მავალნი დახეტიალობენ და კარგი იქნება ამ ადგილებში გადმოსახლებულნი დავასახლოთო. თქმა არ უნდა, რომ ცოტათი კულტურულად შემუშავებული მუღანის ფართო და ნოყიერი (თუმცა ბევრგან ურწყავი) მინდვრები, ათჯერ უფრო მეტად დაუბრუნებდა კაცის-მიერ მონდომებულ შრომას, ვიდრე ეხლა, როცა ადგილობრივ მცხოვრებთ ჯერ ხოგ მამა-პაპათა დამფერხებელ ტრადიციებისთვის თავი ვერ დაუხწევიათ და საზოგადოთ მცირე წარმოდგენა აქვთ ნაციონალურ მეურნობაზედ, მაგრამ რა ეშველებათ ამდენ ცხვარ-საქონელს, რომელიც მუღანში იკვებება ზამთრობით და ამასთანავე შეადგენს ერთად-ერთ სახსარს ამდენი ბოგანო ხალხისას. ხომ არ შეიძლება მათი ზუვანდის მთების იალაღებში გამომწყვდევა, სადაც ზამთრობით რამდენიმე არშინი თოვლი ძევს 5—6 თვე. არ იყო ეგრეთვე გამართებული ის, თუ ვინცობაა ქოჩათ მავალთ ჩამოერთვათ ზამთარში საბინადრო ადგილები, მათ მიეცეთ როგორც ერთ და ორს მიწები სამუდამო საბინადროთ.

საზოგადოთ აქ სხვა ვინ არის დამნაშავე, თუ არა თვით ქოჩათ მავალნი და მათი თანამორწმუნენი, რომელთაც საღათას ძილისთვის თავი ვერ დაუხწევიათ და ამიტომაც ვერა ხედავენ ცხოვრებას ფხიზელი თვალით. ვისაც უნდა რომ შიმშილით სული არ ამოხდეს, მისთვის საჭიროა ყურებიდგან ბამბის გამოძრობა და თვალებდაჭყეტილი სიარული, თორემ ვინ არ უწყის, რომ შენ ჩემობა რომ არ არსებობდეს, რომ ბევრი ლოქოსავით პირ-დაღებული არ დადიოდეს თავისივე მოძმის გადასაყლაპად, რომ საზოგადოთ არ იყოს მოკლებული გრძნობას მოყვასის (თვისივე მგზავსი არსების) შეგნებისადმი, არც ამდონი ცრემლი დაიღვრებოდა ცოდვილ დედამიწაზედ,

ნუ თუ ზემოთ ნათქვამი და ბევრი სხვა ამ გვარი ამბები არა ღირს აღსანიშნავათ, რომ ჩვენი ერთი ახალგაზდა მწერალთაგანი აუწყებს ლენქორანიდან „ცნ. ფურ.“ მკითხველ საზოგადოებას (იხ. „ცნ. ფურ.“ №№ 531 და 532) რომ აქეთკენ ქართველები არა სცხოვრობენ და რა მოგწეროთ: აქეთკენ თქვენთვის საყურადღებო და საინტერესო არაფერიაო“. ეგ საკუთარი აზრი უნდა იყოს პატივცემულ მწერალ ი. ცანისა და იმაში მგონი ქართველი საზოგადოება არ დაეთანხმება, რომ ჩვენ მეზობელ ხალხის მდგომარეობა და აგრეთვე ზნე-ჩვეულებანი ჩვენთვის საინტერესო არ იყოს. ეგრეთვე უსაფუძვლოთ ჰგოდავს ბ. ი. ცანი, რომ იწერება: „ქართულ პერიოდულ გამოცემათაგანი არავის მოსდის ლენქორანში მცხოვრებ ქართველთაგანს და ამიტომაც საშუალებას მოკლებული ვარ, რომ მათ გამოველაპარაკოვო. ჩვენ ვექობთ, რომ ბეჭდური სიტყვით მეტის თქმა და გრძნობა არის გაზიარება შეიძლებოდეს, ვიდრე პირადათ გადაცემაზედ და რატომ ამ უკანასკნელ საშუალებას არ მიმართავს იგი, მაგრამ იმ ჯავახელებისა არ იყოს, როცა ხალხამი ზემოდგან სრულიად ღიაა, შიგ ჩაფრენილ ხოხბის დასაჭერად აბა რაღას უშველის ხალხმის კარებზედ გადებულ უღელში ტაბიკის გაკეთება!?.

ახალციხელი

⁂ **ს. თაგუეთი** (ქართლი). **კეტით მოკლული.** 15 თიბათვეს ამ წელს სოფელ თაგუეთში მცხოვრებელმა სოლომონ ტაბატაძემ მოჰკლა კეტით თავის მეზობელი რაჟდენ გოგალაძე იმაზედ, რომ პირველი არ აძლევდა ნებას მეორეს გადაევლო იმის დათესილ სიმინდზე. მკვლელს ოთხი კაცი სცემდა, როდესაც დაარტყა კეტი გოგალაძეს. დამნაშავე შეიპყრეს და უკვე სურამის გამომძიებელს გადასცეს.

ესტატე

ქუთაისის ქალაქის არჩევნები

ეს სამი-ოთხი თვის მითქმა-მოთქმა, ეტლების გრიალი, ზუთხისა და ბეჭის ქანქლვა, ცილი და „დონოსები“, მიგზავნ-მოგზავნა, ხვეწნა-მუდარა, ყვედრება-მუქარა, ყოველივე ესე დღეს, 14 ივნისს, დასრულდა. „პროკლამაციებით“ ბ. ლოლუას და ოპოზიციის სიებით ხელში დღეს დილით ამომრჩევლები შეიკრიბნენ ქუთაისის თეატრში, სადაც არჩევნები იყო დანიშნული. ბრძოლა უნდა მოხდეს სასტიკი, ულმობელი, ორივე მხარე ცდილობს დაუზოგველად მოეპყრას ერთი-მეორეს.

ჩვენც, როგორც ახლანდელი მატიანესი ნამდვილის ამწერელი, არა ვზოგავთ არც ერთ მხარეს და რაც-კი ხდებოდა ამ არჩევნების მოსამზადებლად, უტყუარათ გადავსცემთ ჩვენს მკითხველებს.

ქალაქის მოურავის ბ. ლოლუას საწინააღმდეგოთ აიმართა უკეთესი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა. იმას აბრალებდნენ თავ-დაპირველად ბნელით მოცულ კაცებთან კავშირს, ინტელიგენციის, ე. ი. ხალხის ბედნიერების მსურველთ და გაგებულ პირების დათრგუნვას, მეგრელთა პარტიის დაარსებას, ქალაქის საუკეთესო მამულების გაფლანგვას, ქალაქის დავალიანებას, სულ სხვა-და-სხვა პროექტებზე ლაქლაქს, მაგრამ მარტო ლაქლაქს და საქმის გაკეთებას-კი არა.

თვით ბ. ლოლუა გაიცნო საზოგადოებამ ისეთ კაცად, რომლის მინდობა ძნელი იყო, რომელსაც საზოგადო მოღვაწეობა პირად სასარგებლო საქმედ და კუდაბზიკურ თვით-მოყვარეობად გადაექცია რომელიც თავის აზრის, თავის მოქმედების გასატანად ყოველივე ხერხს, თუნდ უმართებულოც ყოფილიყო ეს ხერხი, იხმარდა და არავის და არაფერს დაზოგვიდა!

რასაკვირველია, თუ ამ გვარ კაცად მიიჩნია საზოგადოებამ ბ. ლოლუა, უნდა ამხედრებულიყო იმის საწინააღმდეგოდ და კიდეც ესე მოხდა.

ვისაც-კი ცოტათი გული შესტკიოდა საზოგადოების საქმეებისადმი, ყველა მტრად გაუხდა ბ-ნს ლოლუას და ქუთაისიც ყალყზე დადგა!

არ გვახსოვს, რომ ამდენი ენერგია, ამდენი შრომა, ამდენი ფაცა-ფუცი როდესმე სხვა დროს მოვლინებოდეს ქუთაისს!

ბ-ნი ლოლუა და მისი მომხრენი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გაიმარჯვებდნენ, რადგან ჩვეულებრივი ფანდებით, ხრიკებით და არა მართებული მოქმედებით სიბნელეთის მომხრეთ ყოველთვის გაუმარჯვნიათ ქუთაისში. ზუთხის წვენის სვლეპას და ტყემლიანი ბეჭის ხვლეპას ყოველთვის გამარჯვების დროშა მაღლა სჭერია აქამდის ქუთაისის ამორჩევებზე!

ამხედრდა ოპოზიცია, ინტელიგენცია და კეთილის-მსურველნი ამ სიბნელეთის საწინააღმდეგოდ: ბევრი იშრომა, ბევრი ენერგია გამოიჩინა, ბევრი ოფლი დაღვარა, მაგრამ დღეს იმათ სახეზე გამარჯვების იმედის ნიშანი არ ეტყობათ, რადგან გამოცდილნი არიან და დაშინებულნი—ბეზღობით, ცილის-წამებით, ხრიკებით და უმთავრესად ტყემალ-ბეჭ, ზუთხ-ობალოთი!

მაგრამ დახეთ დროთა ცვლილებას, იმერულ უხიაკობას, თეძოზე ფანდებს, კვანტის გამოკვრას!.. მაგრამ... მაგრამ ნუ გავრბივართ, დალაგებით.. დალაგებით მოვიხსენოთ „საქმენი საარაკონი“.

დილის 7 საათზე თეატრის წინ მთელი ქუჩა მაყურებლებით გაივსო. თეატრის კარებს სასტიკად იცავდნენ პოლიციელნი და გარეშეს არავის უშვებდნენ. თეატრის დარბაზი აივსო ამომრჩევლებით, რომელნიც წყნარად ისხდნენ: სცენაზე იჯდა ფერ-მკრთალი და ცოტათი აღელვებული ქალაქის მოურავი; მის მახლობლად მდივანი რაღაცასა სწერდა. პარტერი აივსო ხალხით და ხალხი ახლა თეატრის ქანდარისაკენ მიდის. დასების აგენტები ფაცი-ფუცში არიან, ჩურჩულობენ, მიდი-მოდიან, ერთმანერთს რაღაცას ატყობინებენ, ოპოზიციის ახალგაზდა წევრთ მოუთმენლობა ეტყობათ, უნდათ მალე შეებრძოლნენ მოწინააღმდეგეთ: ან დაამარცხონ, ან დამარცხდნენ. სცენაზე გამწკრივებულია 1898 საარჩევანო ყუთი.

9 ½ საათზე თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ კრება იწყება, რადგან ამომრჩეველთა რიცხვი კანონიერია; შემდეგ საზოგადოებას აუხსნა წესი, თუ ვინმე გამოძიების ქვეშე, ან სასამართლოს მიერ პასუხის-გებაში ყოფილა, ან ახლა იმყოფება, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო უფლებას მოკლებულია, იმას არა აქვს ნება არჩევანში მონაწილეობა მიიღოს; „ამისთანა კაცს ვსთხოვ დარბაზიდან გავიდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასჯილ იქმნება კანონის ძალით“ (მდივანმა წაიკითხა კანონის მუხლი). დარბაზი მდუმარებს.

თავმჯდომარე. არის აქ თ. ზაალ ნოშრევანის ძე ჭავჭავაძე?

ხმები: აქ იყო ახლა და დარბაზიდან გავიდა.

დარბაზში კვლავ რამდენსამე წამს სიჩუმე გამეფდა, შემოვიდა თ. ჭავჭავაძე.

თავმჯდომარე. თ. ზაალ ნოშრევანის ძევ, თქვენ წეღან აქ არა ბძანდებოდით, როცა მდივანმა წაიკითხა კანონის ის მუხლი, რომელიც უკრძალავს ამომრჩეველს საქალაქო არჩევანებში მონაწილეობის მიღებას. თქვენ ხომ არა ყოფილხართ სასამართლოს მიერ პასუხის გებაში მიცემული და დასჯილი?

თ. ჭავჭავაძე. დიახ, მე სამხედრო სასამართლოს მიერ ვიყავი დასჯილი, მაგრამ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მაპატივა; ახლაც სახელმწიფო სამსახურში ვითვლები და დაჯილდოვებულიცა ვარ ხარისხით. (თ. ჭავჭავაძე ახლა მომრიგებელ-შუამავალია, წინად ქუთაისის პოლიცმეისტერი იყო).

თავმჯდომარე. თქვენ უფლება არა გაქვთ არჩევანებში მონაწილეობა მიიღოთ, ამიტომ გთხოვთ დარბაზიდან გაბრძანდეთ.

თ. ჭავჭავაძე. მე უკმაყოფილებას ვაცხადებ და ვთხოვ მდივანს ეს გარემოება აღნიშნოს ოქმში. ვემორჩილები თქვენს ბრძანებას და მივდივარ.

თავმჯდომარე ყველაფერი აღნიშნული იქნება.

ერთი სხვა ამომრჩეველთაგანიც დაითხოვეს დარბაზიდან, რადგან მცირე წლოვანი აღმოჩნდა (24 წლისა და 11 თვისა იყო).

დასახელებულ კანდიდატთა შორის ორმოცზედ მეტმა უარი სთქვა. აიღეს იმათი ყუთები და ხელ-ახლად წაიკითხეს იმათი სია ვინც ხმოსნობის სურვილი გამოაცხადა. საარჩევანო ყუთი დაიდგა 146 კაცმა. წინა რიგში იდგა იმ კანდიდატთა ყუთები, რომელნიც დასახელებულნი იყვნენ უმრავლესობის მიერ, შემდეგ სხვებისა. ამ გვარად, წინა რიგი დაიჭირეს ქალაქის თავის მომხრე კანდიდატებმა, ბოლო წყებაში ოპოზიციის კანდიდატების ყუთები ეწყო. ქალაქის თავმა გამოაცხადა, რომ არჩეული უნდა იყოს 59 ხმოსანი და 12 კანდიდატი. სცენაზე მიწვეულ იქმნა ქალაქის თავის მიერ 15 ასისტენტი და თვითოეულს მათგანს ჩაბარდა ათ-ათი ყუთი. კენჭის ყრა დაიწყო თორმეტის საათის ნახევარზედ.

ქალაქის თავი ხშირად მიდი-მოდის საარჩევნო ყუთებ შორის და ხან ერთის ასისტენტის მაგიერობას ეწევა, ხან მეორისას. ამ ნაირი მოქმედება თავმჯდომარისა ამომრჩეველთ არ მოსწონთ.

მოთმინებიდგან გამოსულმა დ. ა. ლორთქიფანიძემ მკაცრად შენიშნა, რომ მოქმედება თავმჯდომარისა უმართებულო და შეუსაბამოა, ეს არ უნდა" იკადროს ქალაქის წარმომადგენელმაო.

თავმჯდომარე. კანონი ნებას აძლევს თავმჯდომარეს თვალ-ყური ადევნოს ასისტენტების მოქმედებას.

დ. ა. ლორთქიფანიძე. იქნება კანონი გაძლევდეს მაგის უფლებას, მაგრამ თქვენ არ უნდა იკადროთ მაგ გვარი მოქმედება, რადგან ამით ავიწროებთ ამომრჩეველთა თავისუფლებას.

თეატრის დარბაზში საშინელი ხმაურობა ასტყდა. მუქარით მიმართვენ ქალაქის თავს ლოლუას... ეს უკანასკნელი კენჭის ყუთებს მაინც არ შორდება: მიცუქცუქდება ხან ერთს ასისტენთან, ხან მეორესთან.

ექიმი დ. ნაზაროვი. ბატონო თავმჯდომარევ! თქვენი ყუთებში ჩაჭვრეტ-გაჭვრეტა ამომრჩეველებზე გავლენას იქონიებს. მოშორდით ყუთებს.

ბ. ლოლუა. არა გაქვთ უფლება შენიშვნით მომმართოთ.

ერთი ასისტენტი იღლება. ბ. ლოლუა იმის ადგილს დაიჭერს და თვითონ ურიგებს კენჭებს.

ექიმი დ. ნაზაროვი. თავმჯდომარეს არ აქვს უფლება კენჭის დარიგებისა.

ბ. ლოლუა. თანაშემწე არა მყავს.

ექიმი ნაზაროვი. ეგ ჩვენი შეურაცყოფაა, განა ჩვენ კაცნი არა ვართ, შეგვიძლია დავეხმაროთ.

ბ. ლოლუა. კანონი ნებას მაძლევს დავურიგო კენჭები.

კიდევ ყაყანი და ხმაურობა. ბ. ლოლუა ატყობს, რომ იმისი მოქმედება იწვევს ამ შფოთს და დარცხვენილი, პირზე რაღაც უხეირო ღიმილით მიაწებებს თავს ყუთებს და წითელ მაუდიან მაგიდას მოუჯდება

სიცხისაგან ყველას სული ეხუთება, მაგრამ როგორც კარგი მეძებარი საკურდღლო ადგილს მისჩერებია, ისე ყველა მისჩერებია ყუთებს.

გათავდა კენჭის ყრა საღამოს 9 საათზე. ბ. ლოლუა აცხადებს: მარტო თეთრ კენჭებს დავითვლიო".

ექიმი დ. ნაზაროვი. გთხოვთ შავიც დაითვალოთ, წესი და რიგი დაიცავით!

საზოგადოება დიდის ყვირილით ეთანხმება ამ აზრს.

ბ. ლოლუა. გთხოვთ ნუ მასწავლით, მე თითონ კარგათ მესმის ჩემი მოვალეობა.

ექიმი ნაზაროვი. აქ ცხვრის ფარა არ გახლავთ. თქვენს ნებაზე არ ვივლით.

დაიწყებს ბ. ლოლუა ხელის და ხმის ძაგძაგით, ცალი ფეხის წინ გაქნევით კენჭების თვლას.

ბ. ლოლუა. დამინიშნეთ თანაშემწენი, რადგან მალე დავიღალები.

კრება რამდენიმე პირს დაასახელებს, მაგრამ ბ. ლოლუა აცხადებს, რომ ვინც კენჭი იყარა, ის არ შეიძლება თანაშემწეთ იყოსო.

კიდევ ატყდება ყაყანი. ეუბნებიან ასისტენტებიც კენჭს ყრილობდნენო.

ბ. ლოლუა. გთხოვთ ნუ მეწინააღმდეგებით.

კ. დ. ბაქრაძე. რომ გთხოვ, რას გთხოვ?! თუ ჩვენსას არ გაიგონებთ, ქე რაღას გთხოვ!

ბ. ლოლუა. ბ. ბაქრაძევ, თქვენ ზრდილობას ჰკარგავთ და კანონის ძალით პასუხს აგებთ. უნდა პატივის ცემით მომეპყრათ.

ბ. კ. ბაქრაძე. თქვენ კი პატივისცემით არ უნდა მოგვეპყრათ?! რამდენჯერ გთხოვეთ ყუთებს მოშორდით და თქვენ კი ყოველ-წამს მიქუცქუცდებოდით ყუთებთან.

ამის შემდეგ ცოტა დამშვიდდება კრება და კენჭის თვლა გრძელდება.

პირველი ყუთები თითქმის ყველა ბ. ლოლუას მომხრეების იყო. ოთხი იმათგანი დიდის უმრავლესობით გაათეთრეს. ბ. ლოლუას ფერი მოუვიდა, ხმა სიხარულით აუკანკალდა. ცალი ფეხის ქნევა დაუხშირა, თითქოს ვიღაცას პანღურს ჰკრავსო!

ოპოზიციამ ფერი დაკარგა, თავი ჩაღუნა, წელში მოიხარა. . მაგარ-მაგარ სიტყვებს ვეღარ სტყორცნიან. ჩუმად ლუღლუღებენ. ყველა დარწმუნდა, რომ ბ. ლოლუა გაიმარჯვებს. ოპოზიცია ძირს დაემხობა!

ბ. ლოლუა აფორთოვანებული ითვლის დანარჩენ ყუთებიდამ... უცებ ხმა ჩაუწყდა, ფერი გადაკრა, თვალები მიელულა, ცალ-ფეხს ახლა უკან-უკან აქანებს, ამის მიზეზი იყო ოპოზიციის კანდიდატის „შემაშინებელი" სიმრავლით გათეთრება!

ოპოზიციის მომხრეთ წელი გაიმართეს, იმედი მოეცათ.

ითვლიან. . ითვლიან... ბ. ლოლოლუა და მისი მომხრენი დაპატარავდნენ, სიმაღლე მოაკლდათ! სადღაც გაძრომას აპირებენ! შავდება მათი მომხრენი, თეთრდება და თეთრდება ოპოზიციონისტები.

ბ. ლოლუამ მიღნავებულის, დასუსტებულის ხმით დაათავა თვლა.

დიდი უმეტესობა იმის მოწინააღმდეგეებს შეადგენს. ხმოსნების რიცხვი სულ 59 უნდა იყოს. ამათ შორის 32—33 უსათუოდ შავია ბ. ლოლუასთვის და 26—27 თეთრი.

სიბნელეთი დაეცა, დაემხო... მოულოდნელი და მოუვლინებელი მოვლენაა ყოველივე ეს ქუთაისში! ასეთი არჩევანი სწორედ რომ შესანიშნავია და საარაკო.

დიდის სიხარულით მივეგებებით ქუთაისის ამომრჩევლების ასეთ ფხიზელ მოქმედებას.

59 ხმოსანში 44 საშუალო და უმაღლესს სასწავლებელში კურს დამთავრებულნი არიან, 14 ვაჭარი და მამულის პატრონია ქ. ქუთაისში და ერთიც „ბანკის სჩოტჩიკი" ბ. დ. ნ. ჩიკვაიძე!

ამათ შორის, ჩვიდმეტი ხმოსანი იურისტი და ადვოკატია, ოთხი ექიმი, ოთხი მასწავლებელი, სამი აფთიაქარი, ხუთი ბანკებში მოსამსახურენი და დანარჩენი, ვაჭართ გარდა, სხვა და სხვა დაწესებულებაში მოხელენი.

გვარ-ტომობით ერთი სომეხია, ორი რუსი და 56 ქართველი.

ასე გათავდა კენჭის ყრა, მაგრამ მითქმა-მოთქმა მაინც არ გათავებულა. ამბობენ ბ. ლოლუა აპირებს ამ არჩევნების დარღვევასო, რადგან კენჭის ყრის დროს საკასაციო საქმე ბევრი მოხდაო... ამას გარდა, ამბობენ, ერთი დიდი „სეკრეტი" თავ შენახული ჰქონებია ბ. ლოლუასო და წინ-წამძღვარებულიო. მე ეს „სეკრეტი" გავიგე და მაინც არ დავფარავ, რომ სულ ამიკივლ-ამიჟივლდნენ: ვითომ ბ ი. პ. ჯაიანს არ ჰქონდა კენჭის ყრის უფლება, რადგან ის სამართალში არის მიცემულიო, და ამ მიზეზით ბ. ლოლუა აპირებს არჩევნების დარღვევასო

„ოპოზიციონისტები" ისე გაყოყოჩდნენ, რომ სრულებით არ ეშინიათ ამ არჩევნების დარღვევისა!:

— რადგან ამომრჩევლები სინათლის გზაზე დაადგნენო, მეორეთ სულ კუდით ქვას ვასროლინებთ, ისე გავიმარჯვებთო"!..

თუ რამ ახალი ხრიკი მოხდა მალე გაცნობებთ.

გ. ვერმიცნობისძე

სია

ახლად ამორჩეულ ხმოსანთა

ფიფინაშვილი ალ. ი. .	453—119
ლორთქიფანიძე კ. ბ.	376—196
ქიქოძე მ. ა. . . .	376—196
დარახველიძე . მ. ე.	372—200
თუმანიშვილი პ. ა. .	371—201
ლორთქიფანიძე ს. ნ.	369—203
გამრეკელი გ. გ. . .	368—204
ხელთუფლიშვილი დ. ბ.	365—208
კოკოჩაშვილი ე. ეპ.	362—214
პეტრიაშვილი ვ. ი. .	360—214
გველესიანი ი. ზ. .	360—212
აკოფოვი გ. ს. . .	359—213
ხეჩინოვი ს. ი. . .	354—217
თოფურია ს. ბ. . .	352—220
კოკოჩაშვილი ლ. პ. .	352—222
დათეშიძე ყ. ბ. . .	349—223
ბაქრაძე დ. ნ. . .	345—229
ჩიმაკაძე ი. გ. . .	347—227
ქოჩაკიძე ა. მ. . .	345—218
საყვარელიძე ა. . .	343—229
აბდუშელიშვილი დ. ნ.	342—234
აბულაძე ს. ი. . .	342—229
ჭილაძე ვ. ი. . . .	336—237
ლოლუა ლ. თ. . .	334—239
ბარათაშვილი გ. . .	334—240
ღოღობერიძე ს. ბ. .	327—246
კვირკელია დ. ბ. . .	326 246
მახარაძე რ. ქ. . . .	327—247
აბდუშელიშვილი ა. ნ.	325—249
ბაქრაძე კ. დ. . .	324—248
ოცხელი ი. ი. . .	323—249
ჯაიანი ი. პ. . . .	320—252
ჭეიშვილი ს. ი. . .	320 252
ნაზაროვი დ. ა. . .	319—252
მიქელაძე ი. ა. . .	317—257
პურადოვი ი. ი. .	317—261
კიზირია გ. ს. . .	316—257
ხაინდრავა ი. ტ. . .	314—258
კემულარია გ. ი. . .	312—262
ვიტუშინსკი ვ. ა. .	311—262
ლორთქიფანიძე მ. გ.	311—262
ქაჯაია ელ.	309—263
ტატიშვილი გ. რ. .	307—266
თევდორაძე	307—265
ჯორჯიკია ს. პ. . .	306—270
მოსეშვილი პ. . . .	303 267
რელიოგიონი ფ. ან.	302 270
ფალავა მ. გ. . . .	301—271
წულუკიძე ა. გ. .	300—272
ჯანელიძე ნ. . . .	298—274
ფირალოვი პ. ა. .	298—274
ნანეიშვილი ა. თ. .	297—274
ბაინდუროვი ი. ს. .	297—274
გაბაშვილი ა. მ. . .	295—277
დავითაშვილი ი. ქ. .	295—277
მაღრაძე ნ. რ. . . .	294—279
ქორქაშვილი ვ. . .	293—279
ჩიკვაიძე დ. ნ. . .	293—276

სამეურნეო ცნობა

არეული მიწის სასუქი (კომპოსტი.) ჩვენში ნეხვი (საქონლისა) ერთობ ნაკლებად არის საქონლისთვის ბალახის უქონლობისა გამო, და ამის მიზეზით საქონელიც ნაკლებად გვყავს. ნეხვის უქონლობა ეტყობა არა თუ ყანების მცენარეებს; სიმინდს, პურს და სხვას, ბოსტანშიაც ნაკლები მოსავალი მოდის, რადგანაც მცენარეები საკმარის საკვებ ნივთიერებას ვერ პოულობენ მიწაში. ამისთვის მე მინდა აქ ვიბაასო პატივცემულ მკითხველებთან იმაზედ, თუ რა ნაირათ შეიძლება მეურნემ მოამზადოს უძვირფასესი მიწის სასუქი ისეთ მასალიდგან, რომელიც სოფელში აუარებელი არის, მაგრამ მოხმარება არ იციან.

ჩამოვთვალოთ ეს მასალები:

1) ბოსტნის გახილვის დროზედ გროვდება მრავალი ველური ბალახი, 2) ყურძნის (ვენახების) გაბარდვაზე აშორებენ ფოთლებს, შტოებს; 3) ეზოების და სახლების წმენდაზე გროვდება ათას ნაირი მტვერი, 4) სახლების დარღვევის დროზედ ცვივდება გამოუდეგარი ისლი ჭვარტლიანი. 5) ბუხრების გამოწმენდის დროს აშორებენ ჭვარტლს, 6) თხრილების ამოწმენდის დროს იღებენ ტალახს და ჩაცვივნულ ფოთოლს, 7) ხეებს სცვივდება მრავალი ფოთოლი, შტოები, გარდა ამისა ოჯახში გროვდება ბევრი ნაცარი, ნაფოტი, საპნიანი (ნარეცხის) წყალი, გარდა ამისა შესაძლებელია იქნეს ძვლები, ან კვდარი რამ საქონელი (მხოლოდ არა ჭირიანი) და ყოველ ნაირი მცენარეების დანარჩენი, კირი, საქონლის ნეხვი და შარდი, როგორც საქონლისა აგრეთვე ადამიანისა, დანარჩენი ჩალის ნაჭერი შემდეგ სიმიდისა და ლომის შეგროვებისა.

სადმე ეზოში, ბოსტანში, ბაღში და ან სადაც უფრო მოსახერხებელი იქნეს აქ ამოიღეთ მიწა, სიღრმით 5—6 ვერშოკი,*) დატკეპნეთ კარგათ თხრილის ძირი და გვერდები და შიგ ჩაყარეთ ყოველნაირი მასალა, რაც შეგხვდებათ სისქით 5—8 ვერშოკი, ზედ მიწა დააყარეთ, ამაზედ კიდევ ამისთანა ან სხვა მასალა და ამ ნაირათ ბოლომდი. კომპოსტის კეთება უნდა დაიწყოთ მაშინ, როცა მასალა არის შეგროვებული. სხვა და სხვა მასალაც რო არ იყოს, ველური ბალახი ხომ აუარებელია ჩვენს ბოსტნებში და ვენახებში, ყანებში, მაშასადამე საუკეთესო დრო იქნება ეხლა ზაფხული. დრო გამოშვებით კომპოსტის დაასხით ნარეცხი წყალი ან უბრალო წყალი, რომ ეს მასალა მუდამ ლამეთ იყოს, რადგანაც უამისოთ ეს მასალა არ დალპება.

როდის იქნება მასალა კომპოსტათ გადაქცეული? მაშინ, როდესაც ეს მასალა მიწათ იქცევა, მოშავდება და არ დეეტყობა თუ რა მასალა ყოფილა კომპოსტის გასაკეთებლად შეგროვებული. დრო გამოშვებით ამ მასალას თავის მიწიანათ არევ დარევა უნდა. კომპოსტი არის საუკეთესო ნეხვი ყოველნაირ მცენარისთვის, რადგანაც იმაში იმყოფება მცენარეებისთვის აუცილებელი საჭირო საკვები ნივთიერება. კომპოსტით მიწის მონაკვლა უნდა ან დათესვამდი ერთი-ორი დღით, ან შემდეგ მცენარეების ამოსვლისა. ძალიან ადრე დათესვამდი არ ვარგა, რადგანაც საკვები ნივთიერეა იმისთანა მდგომარეობაში არის კომპოსტში, რომ წვიმა და მიწის წყალი

---

*) სიგრძე და სიგანე თხრილისა გააჩნია იმას, თუ რამდენი მასალა არის ან შეგროვდება.

მალე წაართმევს ამ ნივთიერებას ძალას და ჩავა მიწაში უსარგებლოდ.

ამით მონაკლულ მიწაზედ საოცრათ ხარობს, ბევრს ნაყოფს აძლევს ყოველნაირი ბოსტნის მცენარეები, სიმიდი, პური, ნესვი, კიტრი, კვახი და მრავალი სხვა. შესანიშნავათ უხდება იონჯას და სამყურას.

ერთი სიტყვით ეს ისეთი ადვილი გასაკეთებელია და ამასთან ძვირფასი ნივთიერებაა, რომ ჩვენ სულითა და გულით ურჩევთ ყველას შამოიღოს იმის კეთება, მით უფრო, რომ მასალა ჩვენში მრავალია.

ნ. მკურნალი

◆

სამეცნიერო ცნობა

ჰაერი და მისი თვისებანი

(წერილი ხალხისათვის)

(შემდეგი, იხ. «ცნ. ფურც.» № 560.)

ჩვენ ეხლა უფრო საინტერესო კითხვას მიუახლოვდებით. თუ ჰაერი რამდენადაც შორდება დედამიწას იმდენად თხელდება და მსუბუქდება, მაშ სადა თავდება სრულიად, სადა აქვს მას დასასრული. ჩვენ არ შეგვიძლიან ამას მივწვდეთ და გავიგოთ, რადგანაც ფიცხლავ სულს გავაფთხობდით, სანამ იმ ადგილას მიუახლოვდებოდეთ. დიდხანს ბჭობდნენ ამაზე და ბოლოს, როგორც იყო გამოიკვლიეს, რომ ჰაერი 80 ვერსის სიმაღლეზედ არისო. ამ ბოლოს დროს ბევრი საჭირო ცნობები შეგვმატეს, ისეთ მოვლენებმა, როგორნიც არიან მეტეორები, ანუ მოწყვეტილი ვარსკვლავები.

ბევრს, რასაკვირველია, ენახვება, ის ბრწყინვალე ვარსკვლავის მიმგვანე სხივი, რომელიც უცებ გაირბენს ხოლმე ცის სივრცეში და საჩქაროდ ჰქრება. ჰახჰახა მთვარიანს ღამეში არა იშვიათად დაინახავდით რამდენიმე ასეთს ბრწყინვალე მნათობებს ჰაერში; თითქმის ყოველ ოც წუთში ერთხელ გაისრიალებს ხოლმე ასეთი ვარსკვლავი. 9 აგვისტოდგან დაწყებული 13 ნოემბრამდის ძალიან ხშირდება ასეთი მოელვარე მნათობების რიცხვი. ეს სხეულები—ვარსკვლავები კი არ არიან, არამედ უბრალო ქვები, ანუ ლითონთა ნატეხები არიან მაღლა მოცურავე, რომელნიც ჰაერთან შეხვედრის დროს ხურდებიან და ბრწყინავენ. მრავალი ამ სხეულთაგანი მზის სიახლოვეს დაცურავენ; როდესაც დედა მიწა მათს სიახლოვეს გაივლის ხოლმე აგვისტოსა და ნოემბერში, ისინი ზედ გაეხახუნებიან ჰაერს, გახურდებიან და ბრწყინვალე შოლტსავით გაიბდღვრიალებს ჰაერში არა იშვიათად ეს ბრწყინავი ვარსკვლავები ძირს ჩამოცვივდებიან ხოლმე ქვებად ქცეულნი. ზოგჯერ ეს ქვები საშინელის სიდიდისანი არიან, ზოგჯერ კი ძალიან პატარეები და რკინისა, ტყვიისა, გოგირდისა და ფარფორისაგან შესდგებიან.

ეს ზევიდამ ჩამოცვივნული სხეულები, ვარსკვლავებს მოგვაგონებენ, რადგანაც ძალზედ გახურებულნი არიან და ბრწყინვა გაუდით, როცა ჩვენს ჰაერს გაეხახუნებიან. ორი კაცი რომ დასდგეს ასი ვერსის სიშორეზე ერთმანეთზედ და დააკვირდნენ ამ ზეციურ ქვების მიმოსვლას, აღმოაჩენდნენ, (ორ მიმართულების შუა მოქცეულ კუთხის წყალობით) თუ რა სიმაღლეზედ იყვნენ ისინი, როცა თვალი მოჰკრეს სხეულებს, ე. ი. მაშინ, როცა პირველად შეეხნენ ჩვენს ჰაერს და გახურდნენ. ამ რიგად მიხვდნენ, რომ ეს სხეულები 200 ვერსით სიშორეზედ დაიწყებენ ხოლმე ბრწყინვას და აქედგან, რასაკვირველია, ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ ჰაერი 200 ვერსის სიმაღლეზეაო.

ეხლა ჩვენ უნდა მიუგოთ იმ კითხვაზედ, თუ რამ სიმძიმეა ჰაერი? თქვენ ადვილად მიხვდებით, რომ ჰაერი ძალიან მძიმე უნდა იყვეს, თუმცა კი თან და თან მსუბუქდება, რამდენადაც სცილდება ჩვენ დედა მიწას. დაჰეშმარიტებით კი იმდენად აწვება ჰაერი დედა მიწას, თითქოს ყოველ კვადრატიულ დიუმზედ 15 გირვანქის რამე სიმძიმე იდოს. პატარა ქაღალდი, რომელიც მე მიჭირავს ხელში კვადრატიულ დუიმის წარმოადგენს; როცა იგი მაგიდაზედ ძევს მას აწევს ზევიდამ 15 გირვანქის სიმძიმე. მაშ როგორ შემიძლიან ავიღო ისე ადვილად? რატომ ვერა ვგრძნობ ამ სიმძიმეს?

ამის გასაგებად, თქვენ დიდის გულ-მოდგინებით უნდა დამიგდოთ ყური, რადგანაც ამის გაგება ძნელია. გთხოვთ გაიხსენოთ ერთს წუთას, რომ ჰაერი მძიმეა, რადგანაც მიწა იზიდავს მას, რომ ატომები ამ მიწის მიმზიდველობას ეწინააღმდეგებიან და ზევითკენ მიიწევენ. მაგრამ ჩვენ ამ სიმძიმეს ჰაერისას ვერ ვიგებთ, რადგანაც, რამდენადაც ზევიდამ აწვება ჰაერი, ქვევიდამაც იმდენადვე აწვებიან და ზევითა სწევენ. ჰაერი ერთნაირად აწვება ქაღალდს ზევიდამ და ქვევიდამაც და ამიტომ თავისუფლად შემიძლიან თანასწორი სიადვილით ვამოძრაო საითაც მინდა.

ასევე იქნება ქაღალდი, რომ მაგიდაზე დავდო; მის ქვევით, რაც გინდა იყვეს ცოტაოდენი ჰაერი კიდევ დარჩება. მაგრამ როგორმე საშუალებით ქაღალდს ერთ-ერთი გვერდიდგან ჰაერი რომ მოვაცილო, მაშინ, რასაკვირველია, ჰაერი თავისს ძალას გამოიჩენს. სულ ადვილად შემიძლიან ესა ვქნა, დავასველებ ქაღალდს და დავაგდებ მაგიდაზედ: წყალი თავისს ქვეშ ჰაერს არ უშვებს. უცქირეთ —როდესაც ვსცდი ქაღალდის მაღლა აღებას შუაში გამობმული ბაწრის საშუალებით ძალიან გამიძნელდება: ქაღალდს ეხლა აწევს 15 გირვანქის სიმძიმე ჰაერი. ესევე შემიძლიან ვქნა ტყავის ნაჭრით, რომლითაც ხშირად ქუჩებში თამაშობენ ხოლმე ბავშვები. ტყავი წინ და წინ კარგად უნდა დავასველოთ წყალში. დასველებულს ტყავს იატაკზედ დავაგდებ და უცქირეთ მთელი ჩემი ძალა საჭიროა, რომ ეს პატარა ნაჭერი ტყავისა მოვაცილო იატაკსა.

ეხლა ქვაზე დავადებ მას, იგი ისეთ ნაირად მიეწებება, რომ არ მოსცილდება გინდა ორთავენი ერთად ავწიო.

გიცდიათ როდისმე ლოკოკინის მოცილება კლდიდან? თუ გიცდიათ შეამჩნევდით, რომ ისიც ასევე მაგრად არის მასზედ მოჭიდებული; ეს პატარა ცხოველი გამოსწოვს რა მთელს ჰაერს ნაჭუჭიდგან, ისე მიეწებება კლდეს, როგორც დასველებული ტყავის ნაჭერი. შეიძლება შეუძლებლად გეჩვენოთ, თუ რა ნაირს სიმძიმეს უნდა გრძნობდეს კაცი, რომელსაც ყოველ კვადრატიულ დიუმაზედ 15 გირვანქის სიმძიმე ჰაერი აწევს? მართლაც კაცს 900 ფუთის სიმძიმე აწევს და უსათუოდ გასჭყლეტდნენ, თუ ჩვენს სხეულს შიგნიდგან სხვა და სხვა გაზები თანასწორ წინააღმდეგობას არ უწევდნენ.

შ. ფრონელი

(შემდეგი იქნება)

◆

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

17 ივნისი.

პეტერბურგი. 16 ივნისს, ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული დიდ მთავრინებითა ოლგა და ტატიანა ნიკოლოზის ასულებით წაბრძანდნენ ცარსკოე სელოდგან „ალექსანდრიაში“ საზაფხულოდ.

პეტერბურგი. 11 ივნნისს ანდიჟანში სამხედრო სასამართლომ გადასწყვიტა სიკვდილით დასჯა 18 მაისს აჯანყების მოთავენი. განაჩენი ასრულებულ იქმნა 12 ივნისს. დამნაშავენი თვით ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ჩამოარჩვეს. დასჯას იქაური მცხოვრებნი დაესწრნენ. შემდეგ საჯაროდ დასწვეს წითელი და მწვანე დროშები, რომლებიც იმანსა ჰქონდა თავ დასხმის დროს. იუწყება რა ამას გენერალი იონოვი, თან და თან დასძენს, რომ აქეთ მშვიდობიანობა არისო.

პარიჟი, მომავალმა კაბინეტმა დეკლარაცია შეადგინა, რომელსაც რესპუბლიკის ერთობის ხასიათი აქვს. კაბინეტი გადასდებს დრეიფუსის საქმის გარჩევას. გამოსთქვამს, რომ მთავრობამ გადასწყვიტა დაავალოს ერს პატივისცემა ჯარისა და გადაწყვეტილის საქმისა, დააწესებს 1 ივლსიდგან ბაჟს პურზე, შეიწყნარებს დელომბრის სიტყვის რეფორმას გარდასახადის მოკრებისა, უარ ჰყოფს პროგრესიულს ხარჯის გაწერას და შესცვლის ფინანსთა საქმის თანახმად ფლერი რავარენის შესწორებისა.

სან-ფრანცისკო. ოთხი გემი წავიდა დღეს 4,000 კაცით მანილიასაკენ.

რომი, იუწყებიან, რომ პელუ იკისრებს პრეზიდენტობას და შინაგან საქმეთა მინისტრობას, სან. მარცანო—სამხედრო მინისტრობას, ვაკელი—ფინანსთა კარკანო ხაზინისა, ბაჩელი—საერო განათლებისა, ფორტისი— მიწად-მოქმედებისა. ლაკავა—საზოგადო სამუშაოთა, ფინსკარიო—იუსტიციისა; ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი ხვალ იქნება დანიშნული. პალატა უეჭველია შაბათს შეიკრიბება.

ლონდონი. „Woniug Post“-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ, როგორც შევიტყეთ ერთის წარჩინებულის კაცისაგან, ინგლისთან მოლაპარაკება არის შესახებ იმისა, რომ კამარის ესკადრა არ გამოუშვან სუეცის სრუტეში.

პარიჟი. სამინისტრო შესდგა ისე, როგორც უწინ იყო ნაუწყები; გარდა ამისა, სენატორი ტილიე დანიშნულ იქმნა სამუშაოთა მინისტრად, ვალლე—შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად, მუეო ფოსტის მმართველად.

მადრიდი, ამტკიცებენ, რომ კამარა დღეს შეუდგება თავისის ესკადრით სუეცის სრუტეზე გასვლას და თან საკმაოდ აქვს ნახშირიო.

მთავრობას არა ჰგონია, რომ ამერიკის ესკადრა ესპანიასთან მივიდეს, მაგრამ მაინც შესაფერი ღონისძიებანი არის მიღებული.

განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის
გამოცემანი
(ისყიდება საკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ბაღის კუნჭულში)

თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზედა მშვენიერსავე ყდით (თითო)	2—50
თხზულებანი ი. დავითაშვილისას სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი	„—80
იგივე მშვენიერი ყდით . . .	1
დაბადება და [illegible] ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . .	„
ხალხური ზღაპრები I ნაწილი	„
იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით	2—
იგივე ტომი III	1—
იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი	1—
იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით	3—
ჩანგი	1—
სოფელ ისკუნწულა, დ. მაჩხანელისა	0—2
თხზულებანი აკაკისა, ტომი I	1—
იგივე კარგს ქაღდზე მშვენიერი ყდით	2—5
იგივე ტომი II	1—
იგივე კარგს ქაღალდ მშვენიერი ყდით	2—5
არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის	
სიბრძნე-სიცრუვე, მისივე .	„—5
იგივე კარგს ქაღალდზე . .	1—5
სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმელებისა . .	1—5
თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით . . .	1—
იგავ-არაკნი, მისივე . . .	„—
დვინის დაუნება, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა . .	2—5
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ვახ.-ძე ჯამბაკურიან-ორბელიანისა .	„—25
საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. პოტტოსი	„—40
მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა	„—5
ივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა	„1—

(100—88)

ურბენი L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლე და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში,** მიხეილის ქუჩა № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი
ინსპექტორი ნაკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუს თის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. **„УРБЭНЪ“**
Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 54

(50—10)

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел.-хоз. кредита и препод. школы садоводства.**

Плата за весь курсъ 60 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-х часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школ садоводства.

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—17)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18-го Іюня 1898 г. სტამბა „ცნობის ფურცლისა“ (გ. გუნიასი) სას. ქ. სით.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია